# ცნობის ფურცელი

№ 1910 ხუთშაბათი, 29 აგვისტო **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა № 1910

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.


**„ცნობის ფურცლის“ მე-1911 №-რი გამოვა შაბათს, 31 აგვისტოს**


## ყოველ დღიური გაზეთი
# „ცნობის-ფურცელი“
## სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეშ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).


ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის

**ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი **ნატალია მერაბის ასული ცაგარლისა.** (2—2)


## პანსიონი და სასწავლებელი
### ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა **№** 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—2)


**ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის**

## ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანის ახლოვდება (ამ წლის 10 სექტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში; ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში.**

ნამდვილი და დროებითი (მე-III სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ხანეიშვილთან; **ტფილისში**: 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. ტ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. გ. ნ. დიასამიძესთან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში. (3—1)


**კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა**

# „შრომა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან, მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—2)

## სოლოლაკის აფთიაქი
ფარმაციის მაგისტრის
# ფ. კ. ოტენისა

ავაბაბოვის სახლიდან **გადავიდა** საკუთარ სახლში, სოლოლაკის ქ. № 8. (2—1)

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**ექიმი**

ალექსანდრე გიორგის ძე

## მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საშვშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

**ფოთის საბუღალტერიო კურსები**

## ა. კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—19)

# ტფილისის
## კერძო სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ზ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ა. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ა. ზ. ბარხუდოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

**ნ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ზრ. ვ. ხობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**ზ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკანდელისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდ. პირ.

ტელეფონი № 274 (წლ.)

**ექიმი**

# ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).


# საზღვარ-გარეთ

**ინგლისი.** მკითხველს ეხსომება ჩემბერლენის სიტყვა, რომლის მოკლე შინაარსი დეპეშამაც კი გადმოგვცა. ამ სიტყვამ დიდი ლაპარაკი აღძრა ინგლისის პრესსაში. ბევრს, მეტადრე „პატრიოტულ“ გაზეთებს არ მოეწონათ ეს სიტყვა. „ტაიმს“-ი ამბობს „ერთი მხრით, ჩემბერლენის ნათქვამი მართალია და უწყინარი. თქმა არ უნდა, ინგლისის ერი არ იკისრებს, ხარჯი გაიღოს 250 ათას ინგლისელთაგან შემდგარ ხმელეთის ჯარის შესანახავად, რომელიც ყოველ წუთს მზა იყოს საომრად. ამდენი ჯარის შენახვა წმინდა უგუნურება იქნებოდა, სახელმწიფოსთვის მავნებელი და ფინანსების გამანადგურებელი. მაგრამ, საუბედუროთ, ჩემბერლენის სიტყვას შეიძლება სხვა ახსნაც ჰქონდეს, რასაც, უეჭველია, ბევრნი ეცდებიან. შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ სრული მომზადება, რომლისაც კი ნებას გვაძლევს მთელი ჩვენი ძალა, საჭირო არ არის, რომ ის საშუალებანი, რომელნიც სამხედრო სამინისტროს ხელთ აქვს, საკმარისნი არიანო. რომ ჩვენ, როგორც იყო, დავასრულეთ ომი და რაც უნდა საფრთხე მოგველოდეს მომავალში, შეგვიძლია მივენდოთ ხალხის პატრიოტიზმს, რომელიც მას მოერევა. ეს მეტად დამღუპველი მოძღვრებაა, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, ჩემბერლენიც ისე ცოტად ენდობა, როგორც უმეტესობა ჩვენი ხალხისა. სამხრეთ-აფრიკაში ჩვენ დრო გვქონდა გაგვეკეთებინა ის, რაც კარგი ადმინისტრაცია რომ გვყოლოდა, უკვე წინდაწინ უნდა ყოფილიყო მომზადებული. მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ იქნება,—ევროპის დიდ სახელმწიფოებს ერთ დღეს შეუძლიათ საომრად გამოიყვანონ აუარებელი ჯარი“.

ჩემბერლენი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვოლონტერებს (თავის ნებით ჯარში შესულებს), გაზეთის აზრით კი, მათი იმედი უსაფუძვლოა და, მაშასადამე, სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მუდმივ ჯარს. მეორე გაზეთი „მორნინგ პოსტ“-ი კიდევ უფრო მკაცრად მოექცა ჩემბერლენის სიტყვას. ეს სიტყვა საშინელ შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე, ვინც დღემდე მხარს უჭერდა სამინისტროს, იმ იმედით, რომ მთავრობა სერიოზულად ფიქრობს ინგლისის საომარ უზრუნველყოფის შესახებო. „დეილი ტელეგრაფ“-იც აღელვებულია კოლონიათა მინისტრის ნათქვამით. მას მოჰყავს, სხვათა შორის, მოლტკეს სიტყვები, რომ ინგლისს არა ჰყავს ნამდვილი ჯარი და არც არას დროს ეყოლება, ისეთია მისი პარლამენტარული დაწესებულებებიო.

ლონდონში გაიხსნა ტრედ უნიონისტების, მუშათა კონგრესი. დაესწრო ხუთასამდე დელეგატი, რომელნიც წარმომადგენელნი არიან ერთ მილიონზე მეტი მუშისა; დაესწრნენ ცნობილი ორატორები ჯონ ბერნსი, სტიდმანი და კირ ჰარდი და სხ. მათ პროტესტი გამოაცხადეს ერთ შარშანდელ სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც დაადგინეს რკინის გზის მუშების გაფიცვის გამო. ამ გადაწყვეტილების ძალით, კორპორაციების წარმომადგენელთა დანაშაულისთვის პასუხის მგებელი თვით მუშათა ამხანაგობები არიან. მეტადრე გაფიცვის დროს ისეთი სასტიკი პასუხის მგებლობა აწევს ამხანაგობას, რომ გაფიცვა თითქმის შეუძლებელი გახდა. აი, ამ გადაწყვეტილების შესახებ განსაკუთრებული მოლაპარაკება ექნება კონგრესს.

კონგრესი შეეხება აგრეთვე სამოსწავლო ბილლს, რომელიც პარლამენტს აქვს წარდგენილი; შეეხებიან აგრეთვე რვა საათიან სამუშაო დღეს, მოხუც მუშათა პენსიონს, მუშების სადგომებს და სხ.

ტრესტებთან (დიდ კაპიტალისტთა და საზოგადოებათა კავშირია) საბრძოლველად წარმოდგენილ იქნება რეზოლიუცია, რომელიც მოსთხოვს პარლამენტს, დააარსოს კანონით უმაღლესი სამედიატორო სამსჯავრო, რომელიც უნდა შესდგებოდეს უმაღლესი სასამართლოს ერთ მოსამართლესაგან (თავმჯდომარე) და მუშების და პატრონების თანასწორ რიცხვის წარმომადგენელთაგან.

პირველ კრებაზე დაურიგეს წლიური ანგარიში ტრედ-უნიონისტების საპარლამენტო კომიტეტისა. ანგარიში სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ბევრმა მუშათა კავშირმა ყურადღება მიაქცია, რომ შრომას თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს პარლამენტში და მომავალ არჩევნებისთვის კიდეც დანიშნეს კანდიდატებიო. საპარლამენტო კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ტრედ-უნიონისტები ნამდვილ პრაქტიკულ გზას ადგებიან მით, რომ ცდილობენ დიდ პოლიტიკურ ძალად გადაიქცნენო. ოთხშაბათს შეუდგნენ ანგარიშის გარჩევას, რომელშიაც, სხვათა შორის, ბურების ომის შესახებ ნათქვამია: „დასრულდა ერთი უშესანიშნავესი ომი ახალი დროისაო“. ერთმა დელეგატმა მოითხოვა „უშესანიშნავეს“-ს მიუმატეთ „უუსამართლოესი“-ო, რაიცა მიღებულ იქმნა 176 ხმის უმეტესობით 134 წინააღმდეგ.

**საფრანგეთი.** რესპუბლიკანური გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ დემოკრატიულ ხასიათს იმ ცვლილებისას, რომელიც მოხდა საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა შორის. დელკასე, რომელიც თანხმობით მოქმედებდა თავის ამხანაგებთან ერთად, ბევრს ეცადა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლებად გამოცდილი, ნამდვილი რესპუბლიკელები ყოფილიყვნენ; იგი არა ერთხელ დარწმუნებულა, რომ საფრანგეთის ზოგიერთი დიპლომატები საზღვარ-გარეთ თურმე რეაქციონერებს უმეგობრდებოდნენ და რამდენადაც მათ შეეძლოთ, სახელს უტეხდენ რესპუბლიკას, რომელსაც ემსახურებოდნენ. უეჭველია, დღეის იქით ასეთი გარემოება აღარ განმეორდება.

# ახალი ამბავი

დღეს, 29 აგვისტოს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულ დრამატურგის **ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად.**

✦ 28 აგვისტოს კისლავოდსკიდან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარ მართებლის მეუღლე კ-ნ. მ. თ. გოლიცინისა.

✦ გუშინ, 28 აგვისტოს, ტფილისში **დაბრუნდა ტფილისის გუბერნატორი.**

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა სამთო ინჟენერი **რუგევიჩი**, რომელიც კავკასიის სამთო მმართველობის უფროსად იქმნა დანიშნული. ბ. რუგევიჩი წინადაც მსახურებდა ამ მმართველობაში; სხვათა შორის, მას მინდობილი ჰქონდა სურამის ტონელის გასაყვანად იმ ადგილების გეოლოგიური გამოკვლევა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორს მაჭავარიანს შეუმუშავებია **პროექტი სამეურნეო სასწავლებლისა**, რომელიც, მისის აზრით, ძალიან სასარგებლო და გამოსადეგი იქმნება სამტრედიის რაიონის მცხოვრებთათვისაო. სასწავლებელში უნდა ასწავლონ ფრინველის მოშენება, მებოსტნეობა, მებაღეობა და მეაბრეშუმეობა; განსაკუთრებული ყურადღება ფრინველის მოშენებას უნდა მიექცეს, რადგან სამტრედიის ახლომახლო ამ საქმეს ძალიან ეტანება ხალხი; სწავლა სამ წელიწადს უნდა გაგრძელდეს და პრაქტიკული ვარჯიშობა ზაფხულობით სავალდებულო უნდა იქმნას. სასწავლებლის

დაარსებისათვის საჭიროა შემდეგი ხარჯი: მასწავლებელთა ჯამაგირი—4000 მან., შენობა და ადგილი—26.750 მან., მოწყობა—4800 მან., ბ. მაჭავარიანის აზრით, საჭიროა სამი შუამდგომლობა აღიძრას: 1) საერო განათლების მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ სასწავლებელს ყოველ-წლიურად 4000 მან. ეძლიოს შემწეობა; 2) მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე, რომ სასწავლებელს დაუთმონ 15 დესეტინა სახელმწიფო მიწა სამტრედიის ახლო და 3) კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ ქუთაისის გუბერნიის საერობო შემოსავლიდან სასწავლებელს ყოველ წლიურად 5000 მან. მიეცეს.

✦ მკითხველთ იციან, რომ ამ დღეებში სადგურ ჯანდართან სამგზავრო მატარებელს უბედურება შეემთხვა. ამის **გამოძიება** სწარმოებს პროკურორის სტეპანოვის ხელმძღვანელობით. უბედურების დროს ადამიანი არ დაშავებულა, მხოლოდ ერთი ქალი მსუბუქად დაიჭრა, ახლა კიდეც გამოვიდა საავადმყოფოდან.

✦ ტფილისში ეს რამდენიმე წელიწადია არსებობს **„ხელოვნებათა გამავრცელებელი საზოგადოება“**. წელს საზოგადოების გამგეობა მხნედ შეუდგა მუშაობას. გამგეობამ დაიქირავა სადგომი გრიბოედოვის ქუჩაზედ არშაკუნისეულ სახლში, რომელიც, შეკეთების შემდეგ, 15 სექტებრისათვის მზად იქნება. გამგეობას აზრადა აქვს გამართოს მუდმივი გამოფენა როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქელ მხატვართა სურათებისა. საზოგადოების წევრებსა და იმათ ოჯახებს უსასყიდლოდ შეეძლებათ გამოფენაზე შესვლა. ამ მუდმივ გამოფენის გარდა გამგეობას აზრადა აქვს ოქტომბერში დრო-გამოშვებითი გამოფენაც გამართოს. 15 სექტემბერს სამხატვრო სკოლაც დაიწყებს მუშაობას. სკოლა რამდენსამე კლასს შეიცავს. თვითო კლასს საკუთარი მასწავლებელი ეყოლება. სწავლა ყოველ დღე იქნება, ხოლო იმათთვის, ვისაც ყოველ დღე არ შეუძლიან,—კვირაში 2-ჯელ. მარტო კვირაობით თავისუფალთ ამ დღესაც შეუძლიანთ მეცადინეობა. სწავლის ფასი მცირეა: ნახევარ წელიწადში 20 მანეთი იმათთვის, ვინც ყოველ დღე ივლის.

ყველა ამას გარდა ჰფიქრობენ საზოგადოებასთან ბიუროს დაარსებას, სადაც ყველას შეეძლება შეუკვეთოს სურათები, ხატები და სხვ.

✦ სამს სექტემბერს დაიწყება **დიდი ალღუმი** იმ ჯარებისა, რომელნიც ტფილისში არიან ამ ჟამად შეგროვილნი.

✦ თითქმის ყოველ სოფელშია დანიშნული ყვავილის ამცრელი. მთავრობა ამათ ასაცრელ წამალს აძლევს, რომ ყოველ სოფლელ ბავშვს აუცრას ყვავილი. ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ამცრელები, თუ არა, ამის შემოწმება მეტად ძნელია. ან ვინ უნდა შეამოწმოს? სოფლის ექიმი და პოლიციის ბოქაული უიმისოდაც საქმეებში არიან გართულნი, ამცრელების შემოწმებისათვის სადა სცალიათ. ამცრელებიც თურმე ამით სარგებლობენ და ნამდვილ ასაცრელ წამლის მაგიერ ყვავილიან ბავშვებისაგან აიღებენ თურმე გამონარწყავს და ამას უცრიან სხვებსა. მერე ეს გამონარწყავი რომ გახმება, სადმე დავარდება და ყვავილიც გაჩნდება. ამ ნაირი მაგალითი კიდეც მოხდა ქართლში და ყვავილიც ძლიერ გახშირდა ერთ ადგილას. აქაური ამცრელი, ვინმე ლომბარაშვილი, კიდეც შეუმცნევიათ ამ საქმეში და პასუხისგებაშიაც მიუციათ. საგუბერნიო მთავრობამ აცნობა ეს ამბავი სოფლის ექიმებს და დაავალა, თვალ-ყური ადევნეთ სოფლებში ამცრელებს ასაცრელი ნამდვილი წამალი ჰქონდეთ და მხოლოდ ის იხმარონ აცრისთვისაო.

✦ ამას წინად კომისიამ, რომელსაც **ელექტრონით განათების საქმე** აქვს დავალებული, ამოარჩია მცირე კომისია და დაავალა ორის კვირის განმავლობაში თვისი მოხსენების წარდგენა ამ საქმის შესახებ. თუმცა დანიშნულ ვადას სამი დღეც გადასცილდა, მაგრამ მცირე კომისიას დღესაც არ წარუდგენია მოხსენება.

✦ გუშინ, 28 აგვისტოს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ბლაღოჩინ-მღვდლის **პაზუმ გიღურაძისა**, რომელსაც მღვდლის ალექსი ჯაშის მოკვლა ჰბრალდება. პალატის სხდომაზე საქმის მომხსენებელი წევრის ავადმყოფობისა გამო ეს საქმე გადაიდვა ახალს განკარგულებამდე.

✦ 27 აგვისტოს მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. სხდომაზედ ტეხნიკოსნიც მიიწვიეს. სხდომამ განიხილა ხოდოროვიჩის მიერ შედგენილი პროექტი რუსეთის მწერლის ვ. ნ. **გოგოლის ძეგლისა**. სხდომამ მოიწონა პროექტი და გარდასწყვიტა დასდგას ამ პროექტით ძეგლი ალექსანდრეს ბაღის შუაში. ამასთან დაადგინა სთხოვოს საბჭოს გადასდოს 4000 მან. აღნიშნულ ძეგლისთვის.

✦ ქალაქის ტეხნიკოსს ბ-ნ ზურაბიანცს ზუბალაშვილის სახელობაზე ასაგებ **სახლის გეგმა დაუსრულებია** და წარუდგენია ამ საქმის გამგე კომისიისათვის. დღეს კომისია განიხილავს ამ გეგმას და, როგორც ამბობენ, სახლის აგებასაც ამ შემოდგომასვე შეუდგებიან.

✦ ტფილისის ოლქის **სასამართლოს სესსია** საქმეების განსახილველად შულავერში მიემგზავრება. 12 ოქტომბრიდან სესია იქ 20 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

✦ **ქიათურიდან გვწერენ:** „25 აგვისტოს სოფ. შუქრუთში შემდეგი უბედურება მოხდა: ადგილობრივი გლეხი ჩაჩანიძე გზაზე მიდიოდა თურმე. უეცრად სიმინდებიდან გამოვარდნილა იქაურივე გლეხი ი. გ—შვილი, რომელსაც დაუძახნია, გაჩერდიო, და რევოლვერიც გაუსროლია. ჩაჩანიძეს ხანჯალი უძვრია, მაგრამ ამ დროს ტყვია მოჰხვედრია გულში და იქვე წაქცეულა. გ—შვილს ცოცხალ-მკვდრისათვის ხანჯალი წაურთმევია და ახლა იმით დაუჭრია თავსა და გვერდში მშველელი. არავინ აღმოჩნდა თურმე“.

✦ ტფილისის სასულიერო **სემინარიაში მისაღები ეგზამენები დასრულდა** 26 აგვისტოს. ეგზამენის დაჭერის ნება მისცეს მხოლოდ ოთხს კაცს, აქედან მიღებულ იქმნა მხოლოდ ერთი. ამ რიგად სემინარიის პირველს კლასში წელს მიღებულ იქმნა მხოლოდ 34 კაცი მაშინ, როდესაც ვაკანსია 55-ია.

✦ ამიერ-კავკასიაში მეურნეობის ინსპექტორი ბ. ვასილიევი ამ დღეებში ერევანს მიემგზავრება იქაურ **სახაზინო ბაღის** დასათვალიერებლად. ამ ბაღს შემოდგომაზე მიწათ-მოქმედების მინისტრი დაათვალიერებს და ბ. ვასილიევმა წინ-და-წინვე უნდა მოისაზროს, როგორ უნდა გაფართოვდეს ეს ბაღი და როგორ უნდა გაუმჯობესდეს მისი მდგომარეობა.

✦ ამას წინად ახალციხეში გარდაიცვალა იქაური მცხოვრები ვინმე მატარაჯევი. ადმინისტრაციას გამოუკვლევია, რომ **მიცვალებულს აფთიაქის სიმჟავე დაულევია** და თავი მოუწამლავს. ეს სიმჟავე ადგილობრივ აფთიაქიდან შეუძენია მატარაჯევს, მაგრამ ექიმის ნება-დაურთველად. საგუბერნიო საექიმო საბჭოს დაუდგენია აფთიაქის პატრონი ბ-ნი მაისურაძე პასუხის გებაში მისცეს ამ საქმისათვის და ეს ამბავიც პროკურორისათვის უცნობებია.

✦ 27 აგვისტოს სხდომა ჰქონდა ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლებში კურს-დასრულებულ ტეხნიკოსთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას. რადგანაც ახლო მომავალში ტფილისის ქალაქის გამგეობა შეუდგება მოედნების და ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყლასა და ქალაქის საყასბოს შენებას, საზოგადოების გამგეობამ დაავალა თავმჯდომარეს შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ აღნიშნულ სამუშაოების დროს ადგილები მისცენ სატეხნიკო საზოგადოების წევრებს.

✦ იბრაჰიმ რაღიმ-ოღლი, რომელსაც კოსსაკოვსკის ქალის მოკვლა დაჰბრალდა, სასამართლოში იქმნა მიცემული იმის გამო, რომ მეტეხიდან გაქცევა განიზრახა და სხვებთან ერთად კედელი გამოთხარა.

✦ გამომძიებლის განკარგულებით, გუშინ დაატუსაღეს „დვორცოვია ნომრ.“-ს პატრონი სავათელოვი, რომელსაც ბრალდება ამას წინად გარდაცვალებულის ინჟინერის ფონ-ტრომპტერის მიერ დატოვებულის ფულის (5400 მ.) გადამალვა.

✦ „ხელოვნებათა გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას (ტფილისშია) სამძიმრის დეპეშა გაუგზავნია ახლა-ხან გარდაცვალებულ მხატვრის სემირადსკის ოჯახისათვის. პასუხად ეს დეპეშა მოსულია: „დიდად მადლობელი ვართ იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოგვიცხადეთ. ჰენრიხ სემირადსკის ოჯახობა“.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში მთხოვნელთა მისაღებად დაწესებულ იქმნა ტეხნიკოსთა მორიგეობა. ამიერიდან ტეხნიკოსნი მთხოვნელთ მორიგეობით მიიღებენ ყოველ საქმე დღეს 12-დან 2 საათამდე.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში შეცდომით მოხსენებული გვქონდა, რომ 30 აგვისტოს ოცდა-ათი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც დრამატურგი და არტისტი თავ. სუმბათაშვილი (იუჟინი) სასცენო მოღვაწეობას შეუდგა. უნდა იყოს: ოცდა-ხუთი წელიწადი სრულდება და სხვა.

✦ ამას წინად, როგორც აღნიშნული გვქონდა, პოლიციის მე-9 ნაწილში დააპატიმრეს ერთი კაცი, რომელმაც ძაღლი დაჰკლა. როგორც აღმოჩნდა, ეს ძაღლი მოუპარავთ ჯამქულოვისათვის, რომელსაც საჩივარი აღუძრავს მომრიგებელ მოსამართლესთან ქურდის პასუხის-გებაში მისაცემად.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ 24 აგვისტოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა იყო დანიშნული ბანკში დაგირავებულ მამულებისა. გასასყიდად სულ 47 მამული იყო დანიშნული. მყიდველი მხოლოდ ათ მამულზე გამოჩნდა; ამათგან ერთი ახალციხეშია, ერთი—ოზურგეთში, 3 ფოთში და 5 ქუთაისში. ეკუთვნის: 6 ქართველს, 2 რუსს, ერთი სომეხს და ერთიც ბერძენს. მამულები გაიყიდა მცირე ფულის წამატებით: თითო-მამულზე 5—10 მან. უმატებდნენ მყიდველები გარდა ერთისა, რომელიც 600-მანეთიდან 1000-მანეთამდე ავიდა. მამულები შეიძინეს 7 ქართველმა, 1 ბერძენმა, 1 სომეხმა და ერთიც რუსმა. დანარჩენ 37 მამულის განმეორებითი ვაჭრობა დანიშნულია 21 სექტემბერს. თუ ამ დღეს მყიდველი არავინ აღმოჩნდა, მამულები ბანკს დარჩება.

✦ ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება ცხინვალელ ებრაელთა რაბინი, რომელიც აგროვებს ფულს ამას წინად ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ. ქუთათური ებრაელნი, ნამეტურ ახალგაზრდობა, მათდა სასახელოდ, დიდის თანაგრძნობით მოეკიდნენ ამ საქმეს და, როგორც ამბობენ, შემოწირულება ბლომად ჰგროვდება.

✦ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ბერ-მონაზონი მ. ვასილი არხანგელსკის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს სემინარიის ინსპექტორად.

✦ 26 აგვისტოს ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი მთავარ-მართებლის შესახვედრად ბათუმს წავიდა. ბათუმიდან იგი მთავარ-მართებელს ტფილისამდე მიაცილებს და, როგორც ამბობენ, ქუთაისს 30 აგვისტოზე ადრე არ დაბრუნდება.

✦ სინოდის სამეურნეო განყოფილების დირექტორი პ. ი. ოსტროუმოვი 25 აგვისტოს აქედან რუსეთს წავიდა.

✦ ქუთაისის გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელს წელს დიდ-ძალი ბავშვი მიაწყდა. ამ ორსავე სასწავლებლის დაბალ კლასებში თავისუფალი ადგილი 50—60 თუ არის, მთხოვნელების რიცხვი კი სამასს აღემატება.

სასულიერო სემინარიაში თავისუფალი ადგილი 30-ია, მთხოვნელი კი 120 კაცი.

✦ 25 აგვისტოს ქალაქის თეატრში ქართული წარმოდგენა იყო გამართული სტუდენტ მუ-

# ფელეტონი

## სომხობა და ქართველი მწერლები

### I. „დროება“ და სერგეი მესხი

(გაგრძელება *)

ფრანგულის გაზეთის თანამშრომლის ბ. კუტულის ისტორიამ ნამეტნავათ გააცხარა ქართველები. დარწმუნებული ვართ, რომ რამდენისამე სომხის საქციელი კუტულის შესახებ ყოველთვის დაგმობილი იქნება შეგნებულის სომხებისაგან. სხვისი უსაბუთოთ განკიცხვა და დამცირება, ამით საკუთარის თავის გაზვიადება—ჩვენ ბევრნი ვართ, ქართველები-კი ცოტაო, ჩვენ სომხურათ ვლაპარაკობთ, ქართველები-კი ან სომხურათ ან რუსულათო, ჩვენ ლამაზები ვართ, ქართველები—მახინჯნიო, ჩვენ დიდის ნიჭისა ვართ, ქართველები-კი სრულიად უნიჭონი არიანო,—ისეთი ლაპარაკი და მოქმედება იმდენათ ბავშურია და სასაცილო (სასაცილო, თუ ჩაუკვირდება ადამიანი) რომ არა გვგონია, თვითონ სომხები ვერ ხედავდენ მის ყოვლათ უვარგისობას, უნაყოფობას და უსამართლობასაც.

მაგრამ თუ ერთს მხარეს შეუძლია გადაცდეს სამართლიანს საზღვარს და შეეხოს სხვის პიროვნებას, მეორესათვისაც შესაძლებელია ვერ აცდეს ასეთს შეცდომას. უფლება უარყოფილი კერძო ურთიერთობაში, დღეს უარყოფილია ერთა ცხოვრებაში. თუ ზოგიერთა სომხებისათვის ვითომ ხელსაყრელია ქართველების სახელის გატეხა, არიან ქართველები, რომლებისათვისაც სასიამოვნოა სომხობის გალანძღვა და დაგმობა: ჩვენ გვიხარია, როდესაც ვინმე ჰკიცხავს სომეხს, ისეთის ინტერესით, მგონი, არაფერს არ მოვისმენთ და წავიკითხავთ, როგორც სომხების ლაჩრობას, გაიძვერობას და უსინიდისობას, ვფიქრობთ, რომ სიმართლე მხოლოთ იქ არის, სადაც სომხების გაკიცხვაა. გაჯავრებული „დროება“ (77 წ. № 110) კიდევ უბრუნდება კუტულის ისტორიას ფელეტონში „სომხებზე, მაგრამ კუტულის ენით-კი არა“. სომხები და სომხის საქმე ამ ჟამად „მოდნათ“ შემოვიდა ქალაქშიო, სწერს წერილის ავტორი X ... ყველა სომხებზე და სომხების ფაცა-ფუცზე ლაპარაკობს. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ფაცა-ფუცი, კარგა დაჟინებით და დაკვირვებით რომ იკითხო, ვერც თვითონ სომეხი გეტყვის, ვერც სხვაო“. ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს გაზ. „ბირჟ. ვედ.“ ის ერთის წერილის შინაარსს, სადაც გაკიცხულია სომხები: რომ სომხები გაუტანელი ხალხია, ფანატიკური და დახშული ხალხი, მათი განახლება შეუძლებელია, მათ მომავალი არა აქვთ, სომხებს არც მწერლობა უვარგათ, არც ისტორიაში ჰქონდათ რამეო.

ძნელი გასაგები და თავსამტვრევი არ არის ბ. X-ის ფელეტონის ფილოსოფია: დაგვცინეთ, გაიხარეთ? მაგრამ ძალიან უკაცრავათო: გლახები ჩვენ-კი არ ვყოფილვართ, მახინჯი და დაღუპული ერი თქვენ თვითონ ბრძანებულხართო! ჩვენ გვესმის „დროებ“-ის ფსიხოლოგია: როდესაც ვინმე გლანძღავს ადამიანს, შენც შეუკურთხებ ხოლმე, თუმცა შეიძლება ძალიან დარწმუნებულიც იყო, რომ ლანძღვა-გინებით და მასთან უსამართლო და უსაფუძვლოთი არც არაფერი გაკეთდების და არც არაფერი დაშავდების. გვესმის ასეთი ფსიხოლოგია, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ X-ის საპასუხო წერილს მისი ჭეშმარიტი სახელი,—იგიც იმ ნაირივე ბავშურია, როგორც იმ სომხების საქციელი, რომელთაც უნდათ ქართველების ცუდათ ხსენებით თავის ციხე-ქალაქების აშენება და, შეიძლება, ჰაიასტანის აღდგენაც.

„დროებ“-ის 1880 წლის მე-172 №-ში დაბეჭდილია სომხურ გაზეთის „მეღუ“-დან გადმოთარგმნილი ამბავი: რომ აჭარაში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ, ესენი წინათ ქართველები ყოფილან, მაგრამ მერმე დაუკარგავთ სარწმუნოება და გათათრებულან; „ენა ისევ ქართული აქვთ და ქართულადაც ლაპარაკობენ, მაგრამ **ქართველობა რათ**!! ამათ ქართველები ძალიან სძულთ (?„დროება“), ქართველი ჭირივით ეჯავრებათ. „დროება“-ს არა სჯერა სომხის კორესპონდენტის სიტყვები და ამბობს: „ზემოყვანილ კორესპონდენციას კილოზე ეტყობა, რომ ის სომხისაგან არის დაწერილიო“.

მაგრამ თუ „მეღუ“-ს კორესპონდენციას ეტყობა, რომ იგი **სომხის** დაწერილია, „დროებ“-ის შენიშვნასაც აშკარათ ეტყობა, რომ იგი **ქართველის** კალამს ეკუთვნის.

სომხურს „მშაკ“-ს არა ერთხელ დაუწერია გულწრფელი და სამართლიანი წერილი ქართველ-სომხების დამოკიდებულობის შესახებ, მაგრამ ამავე „მშაკ“-ს წამოცდენია ხან-და ხან ახირებული აზრები, როგორც ეს უკვე დავინახეთ ზემოთ. როდესაც ტფილისში სათავად-აზნაურო ბანკს აარსებდენ,

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1903

შანას სასარგებლოდ: ითამაშეს ჩვენის უდროვოდ გადაცვალებულის დრამატურგის აგქსენტი ცაგარლის 4 მოქ. ისტორიული დრამა „ქართველი დედა“ და ერთ-მოქმ. ვოდევილი „დათვი“. მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი თეატრის მსახიობნი—ამათ შორის ქ-ბნი ნ. ჩხეიძეც. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და შემოსავალიც, როგორც გვითხრეს, 400 მანეთია.

## სტიპენდიები

ქუთაისის თავად-აზნაურთა შვილებისათვის

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა და დაბეჭდა წესები იმ სტიპენდიებისა, რომელსაც უნდა მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები ფული. აი, თვით წესები:

1) თავად-აზნაურთა სტიპენდიები არსდება საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების ასის წლის თავის აღსანიშნავად, თანახმად უმაღლესის რესკრიპტის მე-2 მუხლისა.

2) სტიპენდიები დაენიშნებათ ქუთაისის გუბერნიის შთამომავლობით თავად-აზნაურთა ორსავე სქესის შვილთ, რომელნიც სწავლობენ რუსეთის იმპერიის უმაღლესს ან საშუალო სასწავლებლებში.

3) სტიპენდიები დაენიშნებათ მხოლოდ ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს.

4) სულ 95 სტიპენდია იქნება, თვითო სტიპენდია: უმაღლეს სასწავლებელში—360 მან., და 180 მან., საშუალოში—260 მან. 180 მ. და 120 მ. ყოველ წლიურად.

5) სტიპენდიების საზოგადო რიცხვიდან უმაღლეს სასწავლებელთათვის დანიშნულია 40; ამათგან პირველი ოცი სტიპენდია იქნება თითო 360 მანეთიანი, მეორე ოცი კი —180 მანეთიანი. აქედან ხუთი 360 მანეთიანი სტიპენდია მოსწავლე ქალებისათვისაა დანიშნული, დანარჩენი კი ვაჟებისათვის. საშუალო სასწავლებელთათვის დანიშნულია სულ 55 სტიპენდია, რომელთაგან 10 იქნება 260 მანეთიანი, ვაჟებისათვის; ოცი — 180 მანეთიანი; აქედან 15 დანიშნულია ვაჟებისა, ხოლო 5 ქალებისათვის; დანარჩენნი 25 სტიპენდია იქნება 120 მანეთიანი თითო, აქედან 15 დაენიშნება ვაჟებს და 10 ქალებს.

6) ვისაც სტიპენდია დაენიშნება, სარგებლობს იმით მთელის კურსის გათავებამდის.

7) სტიპენდიანტი, რომელიც ერთსა და იმავე კლასში მეორე წელს დარჩება, ანუ ერთსა და იმავე კურსზე დარჩება ერთხელ მთელის კურსის გათავებამდის, სტიპენდიას არა ჰკარგავს, მაგრამ, თუ ნაჩვენებ დროს განმავლობაში ორჯელ დარჩა, იმ შემთხვევაში სტიპენდია მხოლოდ მაშინ არ დაეკარგება, თუ რამ პატივსადები მიზეზი აღმოჩნდება, რომელიც უნდა დაამოწმოს სასწავლებლის საპედაგოგიო რჩევამ.

8) ხსენებულ 20,000 მანეთი ყოველ წლიურად ეგზავნება ქუთაისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც ინახავს ფულს ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში.

9) სტიპენდიებისა და შემწეობის დანიშვნის შესახებ თხოვნები უნდა წარედგინოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს; თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას სასწავლებლის მთავრობის მოწმობა მოსწავლის სწავლისა და ყოფა-ქცევის შესახებ.

10) წინა მუხლში მოხსენებულ თხოვნებს განიხილავს თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატთა კრებული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ყოველის მაზრის წარმომადგენელი, თავად-აზნაურთა სამაზრო კრების მიერ სამის წლით არჩეული.

11) სტიპენდიების დანიშვნის დროს უმთავრესად მიღებულ იქმნება მხედველობაში მთხოვნელის ქონებრივი და ოჯახობრივი მდგომარეობა. როდესაც მთხოვნელთა სხვა პირობანი ერთ-ნაირია, იმ შემთხვევაში უპირატესობა მიეცემა უფრო ღარიბთა ð ობოლთ.

12) სტიპენდიებს, როგორც უმაღლესს, ისე საშუალო სასწავლებელში მოსწავლენი ყოველ-თვიურად მიიღებენ.

13) სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ დეპუტატთა საკრებულო განკარგულებებს ახდენს, რომ დანიშნული სტიპენდია ყოველწლიურად ეგზავნებოდეს ამა თუ იმ სასწავლებლის მთავრობას, რომელიც გადასცემს დანიშნულებისამებრ.

14) თუ აღნიშნულ ფულიდან დარჩა რამე, მოხმარდება ქუთაისის გუბერნიის შთამომავლობით თავად-აზნაურთა შვილების აღზრდას სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

15) თავად-აზნაურთა საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვიდით საგანგებო სარევიზიო კომისიას სამის კაცისაგან. ამ კომისიამ უნდა შეამოწმოს ხარჯის სისწორე და თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას წარუდგინოს ანგარიში. როგორც ანგარიში, ისე იმათი სია, რომელნიც სტიპენდიას მიიღებენ, დაიბეჭდება გაზეთს „Кавказъ“-ში და ერთ-ერთს ქართულს გაზეთში.

ამ წესდებას ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავადი ნიჟარაძე, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი მხეიძე, კ. რ. გოციროიძე, ს. ბ. ლოლობერიძე, თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, ლ. თ. ლოლუა, თავ. ჯ. თ. დადეშქელიანი, ი. პ. ჯაიანი და თავ. პ. გ. წულუკიძე.

**დონ-ბადიანი.**

## რუსეთის ქრონიკა

✦ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რუსთა მხცოვანი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი ახალ რომანს ადგენს თურმე კავკასიელთა ცხოვრებიდან. ავტორს ომიანობის დრო (მე-50 წლები) აქვს აღებული. სახელად რომანს „ჰაჯი მურადი“ ერქმევა.

✦ დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქმნა წესდება თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარებელ კასსებისა.

✦ ამ ჟამად პეტერბურგშია ინგლისელთა ერთ მდიდარ ფირმის წარმომადგენელი ტალბოტი. ინგლისელს აზრადა აქვს მოაწყოს რუსეთის შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა ვაჭრობის საქმე ინგლისში. ჰფიქრობენ, გამართონ ლონდონში დიდი საწყობი ამ ნაწარმოებისა და შემდეგ ჰყიდონ მთელ ინგლისში. პეტერბურგში კიდევ გამართული იქმნა მთავარი კანტორა. ამ კანტორამ მთელ რუსეთში უნდა შეიძინოს ხოლმე შინა-მრეწველობის ნაწარმოები და შემდეგ ინგლისში გაჰგზავნოს. რუსეთის შინა-მრეწველობის ნაწარმოებს დიდი სახელი და გასავალი აქვს ინგლისში, ასე რომ ამ საქმეს კარგი მერსისი მოელის. პეტერბურგის ბიუროს გარდა, რუსეთის სხვა და სხვა ადგილას აგენტები იქმნებიან, რომელნიც მრეწველთ ავანსად ფულს მისცემენ.

✦ მოსკოვში არსდება ახალი საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს მაჰმადიანთა ქონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობის გაუმჯობესება.

✦ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსდეს განსაკუთრებული კლასები რკინის გზებისათვის უფროსს მუშების მოსამზადებლად.

✦ 22 აგვისტოს ქალაქ მინსკში უკვე დაიწყო სრულიად რუსეთის სიონისტთა პირველი კრება, დოქტორის ბრუკის თავმჯდომარეობით. შეიკრიბა 500-მდე დელეგატი. სიონიზმის თვალსაჩინო მოღვაწეებს პირველ სხდომაზედ კრება ტაშის ცემით მიეგება. ცხარე კამათის შემდეგ არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ დოქტორი ჩლენოვი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგებად—როზენბაუმი და უსიშკინი.

## პრესსა

ახლა თითქმის ყველანი აღიარებენ, რომ შავი ზღვის ნაპირა ადგილების დასახლებისა და აღყვავების საქმე ძალიან ძნელია რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის. ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობდა ვინმე ბ. კრიშტაფოვიჩი, რომელსაც არ სჯეროდა ეს სიძნელე და ადგილობრივ გაზეთების „ინტრიგად“ სთვლიდა იმ მოსაზრებას, რომ შავი ზღვის ნიპირა ადგილებზე უფრო კავკასიელი მკვიდრნი გამოდგებიან მოსახლეებად, ვიდრე შიდა გუბერნიების გლეხებიო. ახლა ეს ბ. კრიშტაფოვიჩიც სხვა რიგად სჯის: მართალია, ბევრი გარეშე დაბრკოლება უჩნდებოდა იქ რუს ახალშენელებსაო, მაგრამ თავი და თავი დაბრკოლება ის არისო, რომ მათთვის უჩვეველ და უცხო პირობებში ცხოვრებას ვერ ახერხებდნენო. რუსი გლეხიო, სწერს „სელსკოე. ხოზი.“-ში ბ. კრიშტაფოვიჩი, ვერაფერს ვერ ახერხებდა შავი ზღვის ნაპირა ადგილებში რომ ჩამოვიდოდაო; ჯერ, ადგილის ამორჩევაშიაც დიდ შეცდომას სჩადიოდაო: მაშინ როდესაც იდგილობრივი მკვიდრნი მთის კალთებზე ირჩევდნენ სამოსახლო ადგილებს, რადგან იქ მშრალი და საღი კლიმატია, რუსი გლეხები უთუოდ მთებ შუა ჩავარდნილ მინდვრებზე სახლდებოდნენ, სადაც ჭაობების მიზეზით ციებცხელება მძვინვარებსო და ახალშენელთ მუსრს ავლებსო. მეორე მიზეზი ახალშენელების უბედურებისა ის იყოო, განაგრძობს ბ. კრიშტაფოვიჩი, რომ რუს გლეხებს სამეურნეო ცოდნა არა აქვთო, ხოლო მათი პრაქტიკული ცოდნა ამ ადგილებზე სრულიად არ გამოადგებოდათო.

ამ ადგილებში მშვენიერი მებოსტნეობა და მებაღეობა გაჩაღდებოდა; აქ უნდა მოეყვანათ ნაადრევი ბოსტნეული და ხილი რუსეთში გასაგზავნად; მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდათ ეს რუს ახალშენელთ? განა იცოდნენ მათ, რომელი ჯიშის ხეხილი იხარებდა იქ? რა და რა ბოსტნეული უნდა დაეთესათ და სად და როგორ გაეგზავნათ?

საქონლის მოშენებაც კარგ ხეირს მისცემს აქ მემამულეს. წინად ჩერქეზები ზამთრობით ქვევით, დაბლობზე, ცხოვრებდნენ; ხოლო როდესაც თოვლი დნობას იწყებდა, მკვიდრნი თავიანთ საქონლით მაღლობზე ადიოდენ; რამდენს სიცხე მოუჭერდა, იმდენს ზევით იწევდნენ, სადაც ადამიანისთვისაც კარგი სამყოფი იყო და საქონლისთვისაც. რუს ახალშენელს თავშიაც ვერ მოუვიდოდა ასეთი ხერხიანი მეურნეობა!

ასე ყველაფერში აღმოჩნდა, რომ ახალშენელი უღონო მეურნეა ამ მდიდარ ქვეყანაში და თუ ჰსურთ ეს მხარე მართლა კვლავ ააყვავონ, ისევ იმათ უნდა მიჰმართონ, ვისაც მზგავს პირობებში უცხოვრია და ვინც წიფელას მაგიერ კაკლის ხეს არ წამოაქცევს ფაცხის დადგმისათვის.

## წერილი გურიიდან

შარშანდელი მოუსავლობა და წლევანდელი წყალდიდობა

შარშანდელმა მოუსავლობამ გურია განსაცდელში ჩააგდო. ყველა სოფლიდან ერთი და იგივე საჩივარი ისმის: რა ვქნათ, რით გამოვკვებოთ ცოლ-შვილიო. სოფლელების სიმდიდრეს ერთად-ერთი სიმინდისა და ღვინის მოსავალი შეადგენს.

წელს ისეთი კარგი ნიშნები იყო მოსავლისა, რომ ყველანი გვმბობდით, რაც შარშან დაგვაკლდა, იმას წელს ბუნება შეგვისრულებსო, მაგრამ ამაოდ. 18 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე, ცა მოულოდნელად მოიღრუბლა. ასტიდა ჭექა-ქუხილი. ამას მოჰყვა კოკის-პირული წვიმა. ადვილი წარმოსადგენია, ეს წვიმა და ქარიშხალი რა ხეირს დააყრიდა სიმინდებსა და მომწიფებულ ყურძენს. სიმინდის ყანები ერთიანად დააგო და დასილა ნიაღვარმა, ისე რომ იმათი გამოყენება შეუძლებელია, ხოლო ვაზებს იშვიათი, ისიც უმწიფარი, მტევანი შეარჩინა. ერთის სიტყვით, ამ ავდარმა ერთიანად გაანადგურა საწყალი გლეხის ნამუშავარი და ჩაუკლა იმედი მოტკბილებისა. ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი გაგრძელდა ღამის 5 საათამდე.

შედეგად ყველა ამას მდინარეებისა და ხევების ადიდება მოჰყვა. ასეთ ადიდებას ხნიერნი არ მოსწრებიან. ზარალი აუწერელია. ის ადგილები, სადაც სიმინდები იყო, ეხლა გადატიტვლებულია. უცხო კაცი ვერც კი მიჰხვდება, თუ ოდესმე ყანები ყოფილა.

წაიღო წყალმა სახლები. ზოგს ბეღელი წაართვა, ზოგს სასიმინდე, ზოგს წისქვილი, ზოგს სახლი, ზოგს კიდევ შინაური ოთხფეხი და ფრინველი. წყალმა ადამიანნიც იმსხვერპლა. მეტად

„მშაკ“-მა ბანკის წინააღმდეგ წერილი დასტამბა, რაზედაც პასუხი გასცა „დროება“-მ მეთაურით (C-ის) „მშაკს რა აკაკანებს?“ „სომხურ გაზეთში „მშაკ“ ერთი უთავბოლო და ცუდ-უბრალოდ მიკვანძილ-მოკვანძილი სტატია წავიკითხე ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის თაობაზე, ამბობს ავტორი: წავიკითხე და ჩემს თავს ვკითხე,—რისთვის დაუწერია ამის დამწერს ის სტატია და ან პატივცემულს რედაქციას რის განზრახვით დაუბეჭდია. მე რომ „მშაკ“ის რედაქციის პატივისცემა არ მქონდეს, ბევრს რასმე ვიფიქრებდი. მაგრამ რადგანაც ვიცი, რომ „მშაკის“ რედაქცია პატივსაცემია, ამიტომ ჩემს ფიქრებს გზა გადაუღობე და „თვალბედითი შავი ყორანი“ გავიფრთხე». ასეთის დაცინვით არის დაწერილი მთელი წერილი. ავტორი ბრალსა სდებს სომხურს გაზეთს—ტყუილებს სწერ, რომ ვითომ მომავალი ბანკი მხოლოთ თავად-აზნაურობას მისცემს სისხს და ბანკს ოფიციალური დამფასებელნი ეყოლებაო. „მშაკი კვლავ იმეორებს: ჩვენი თავად-აზნაურნი თავის უანგარიშო მეურნეობით, თავის ბედოვლათობითაო იქამდე მივიდნენო, რომ რაც ჰქონდათო, ყოველივე დააგირავესო... ეხლა მათი მდგომარეობა ფრიად სამწუხაროაო. იქნება კიდეც მართალი იყოს, მაგრამ პატივცემულო „მშაკ“-ო, შენში მაგ მწუხარებას რომ ვერ ვხედავთ? შენ ისე ლაპარაკობ, თითქო გიხარიანო“... („დრ.“ 1874 წ. 13 სექ.).

ამ გვარისავე დაცინვის წერილს ვკითხულობთ „დროების“ 1877 წ. მე-44 №-ში (წერილი ერთის იმერელისაგან. ა—სა): „მშაკის რედაქტორი არწრუნი ქუთაისში ყოფილა, არ მოსწონებია ქუთაისის გზა, მერე ქუთაისის სიბინძურეო და ამბობსო: „იქ რას უნდა ველოდეთ უწმინდურობის მეტს, სადაც იმერლები და ურიები სცხოვრობენო.“ „ამ სიტყვებს, განაგრძობს ბ-ნი ა., ჩვენ უპასუხოთ არ დავაგდებდით, რომ დარწმუნებული არ ვიყოთ მის გულ-წრფელობაში და ეს მისი გულწრფელობა მტკიცდება იმითი, რომ თავის თავზედაც სიმართლეს აღიარებს: „მე მრცხვენია ჩემის სომხობისაო... არ მიყვარს სომხებიო... ამ გვარად წუწუნებს უ. რედაქტორი და ჩვენც, მის კეთილის-მომსურნეს, მეტი აღარა გვრჩება-რა, უნდა ზარი უთხრათ ძველებურ ჩვეულებისამებრ „მშაკ“-ს და მის რედაქტორს: ვაი, ვაი, ვაი, ვოჰჰჰ... ვოჰჰჰ, ჰო, ჰოჰ!“

ეს პატარა ფაქტები ერთხელ კიდევ მშვენივრათ ახასიათებენ სომეხ-ქართველთა დღევანდელს ურთიერთობას. სამარცხვინოა ასეთი უნდობლობა და მტრული გრძნობები ერთმანეთისადმი. სომეხს უნდა ახარებდეს **ქართველის** თავადის თუ აზნაურის გაღატაკება, ან **ქართველ** მაჰმადიანების გადაგვარება? და ქართველები ასე უნდა დასცინოდნენ სომხობას, მოკლებულნი იყვნენ ყოველს პატივისცემას მათდამი? თუ ჩვენს უთანხმოებას აქვს თავისი საფუძველი, ამან არასოდეს არ უნდა დაგვავიწყოს, თუ რა არის ამ უთანხმოებას იქით და არ უნდა მოჰკლას ჩვენში პატივისცემა ერთმანეთის ეროვნულ პიროვნებისადმი. არც „მშაკ“-ი და არც სომხობა საერთოდ არ წავა ქართველების წინააღმდეგ; თუ ხან-და-ხან სომხურ გაზეთს რამე წარმოუთქვამს ჩვენის ინტერესების წინააღმდეგ, თუ ზოგიერთა სომხებს ქართველების „შექმა“ მოუნდომებიათ, ეს კიდევ არ გამოხატავს არც „მშაკი“-ს საერთო მიმართულებას, არც მთელის სომხობის მისწრაფებას. **სომხის ერის არსებობა არ არის ქართველის ერის მოსპობა.** ეს ესმით ქართველებს და განა სომხებში არ არიან ისეთი შეგნებული ინტელიგენტები, რომლებსაც შეუძლიანთ ამის გაგება?.. ვინ არის ისეთი ქართველი, რომელიც არ გაუწევს წინააღმდეგობას იმ სომხებს, რომლებსაც მოუნდომებიათ ქართველების ტფილისის საბჭოდან განდევნა, ან არ დაჰგმობს იმ სომხის საქციელს, რომელიც სადმე ეკკლესიის კედელზე წაჰშლის ქართულს წარწერას და ზედ სომხურს წააწერს დიდის არმენიის „ასამაღლებლათ?“ მაგრამ აქედან განა ის გამოდის, რომ უარ-ვყოთ ერთმანეთის ღირსება და გვინდოდეს, გვიხაროდეს ერთის-მეორეს დაღუპვა? დავცინოდეთ ერთმანეთს?..

პატრიოტობა კარგია, მაგრამ ვინც ნამეტნავად გაამწვავებს პატრიოტულს მახვილს, თვითონვე წამოეგება ზედ, იქნება იგი ქართველი, თუ სომეხი, სულ ერთია, სულ ერთია ისტორიისათვის!

**გადამი.**

(დასასრული იქნება)

**შეცდომის გასწორება:** „ცნ. ფ.“-ის 1903 №-ის ფელეტონის მეორე გვერდის პირველ სვეტში (ბოლოდან მეშვიდე სტრიქ.) დაბეჭდილია: „ტფი. უნივერსიტეტში სწავლება სომხურათ იყოს“, უნდა იყოს-„სომხურათ იყოს და არ იყოს ქართულათ“. ამავე გვერდზე მეთხე სვეტში სწერია; „სომეხი იწერება“), უნდა იყოს-„ს. მესხი იწერება“.

საზარელი დღე გაუთენდა განსაკუთრებით აღმასხან ანდღულაძეს, ასკანის საზოგადოების მცხოვრებს, რომელიც ამ ღამეს საენკუროზე უოფილა სამუშაოდ. სახლში ცოლშვილი და ვიღაც სტუმარი ქალი დატოვებინა. მეორე დღეს, როცა ბუნება დაწყნარდა, საბრალო სახლისკენ გაქცეულა, მაგრამ იქ სასიმინდე-და დაჰხვედრია. სუყველაფერი წაეღო წყალს; სახლი, ცოლშვილი, სტუმარი ქალი, ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც-კი ებადა. გუშინ კიდევ ჰნახეს გარიყული ერთი ვაჟი და ორი ქალი. ჯერ არ იციან, დამხჩვალთა ვინაობა. ეს სიკეთე მოახდინა უმთავრესად ბახვის წყალმა, ნატანებმა და გუბაზოულმა. არც ერთზე ეხლა ხიდი არ არის. სხვათა შორის, ნატანებმა ის დიდი ხიდიც წაიღო, რომლითაც ხალხი ოზურგეთსა და ნატანებს შუა დაიარებოდა. როგორც სთქვეს, ეს უზარ-მაზარი ხიდი დაუტაკებია ერთის დიდის წისქვილისათვის, რომელიც სამი ათას მანეთზე მეტად დასჯდომია პატრონებს. ბევრგან წყალს საფლავები დაურღვნია და მიცვალებულთა გვამები წაუღია.

ბ. ბარნაბიშვილი

გურიის გაჭირვება.—შარშანდელი მოუსავლობა.—წყალ-დიდობა

ვინ არ იცის, რომ გლეხის კეთილ-დღეობა მოსავლის მეტ-ნაკლებობაზედ არის დამოკიდებული. ერთად-ერთ მოსავალს შეუძლია იმისი გაბედნიერება. იგი მაშინ უოველს საქმეში გულუხვობს: იხდის გადასახადს, სკოლის დაარსებაში დიდ სურვილს და დახმარებას აცხადებს, შვილებს სასწავლებელში ჰგზავნის და სხვა.

შარშან გურიაში სიმინდმა, ღვინომ და ხეხილმა სხვა წლებთან შედარებით ათჯერ ნაკლები ნაყოფი გამოიღო. პირწმინდა გამოვლებული დარჩა მუშა ხალხი. რის ვაი-ვაგლახით, ნახევრად მშიერმა გაზაფხულამდის მოაღწია, მაგრამ შემდეგ ნამდვილი შიმშილობა დაუდგა. ჩვენში თუ ვისმე სადმე სადმე სიმინდის მარცვალი ჰქონდა, მამასისხლად ჰყიდდნენ. ფუთი სიმინდის ფასი ადიოდა 1 მან. 20 კ.-მდის.

ასეთ გაჭირვებაში გურული შარშანდელმა წელიწადმა ჩააგდო, მაგრამ, მგონი, არც წლევანდელი დააყრის ხეირს. შარშან მოსავალი გვალვამ წაახდინა, წელს კიდევ წვიმები უღებენ ბოლოს სიმინდსა და ყურძენს. ამას წინად ქარიც ამოვარდა, რომელმაც სანახევრად დააგდო მწვანე სიმინდი და ჩამოყარა ყურძენი. 19 აგვ. მოვიდა ძლიერი წვიმა, მდინარეები და ხევები ნაპირებს გადავიდა, წაიღო ყანები და დაანგრია ხიდები და გზები. ს. ბახვში ბახვის-წყალმა 4 ადამიანი იმსხვერპლა.

ვ. ა.

# თეატრი

ჭიათურა. 24-ს აგვისტოს, ბ-ნის გლ. მესხიშვილის მონაწილეობითა და გამგეობით, გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს: „ბედს ვერ წაუხვალ“. პიესა კარგად ჩაატარეს არტისტებმა. ყველაზე კარგად, რასაკვირველია, დაგვისურათა ბ-ნმა მესხიშვილმა „ალექსანდრე ვარდანაშვილის“ როლი. ამ წარმოდგენის დროს ყვირილის დეპოს მუზიკა უკრავდა. დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ცემითა და გვაშას ძახილით დააჯილდოვა მესხიშვილი. სამწუხაროდ, წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო; ამისი მიზეზი გახლავთ ბილეთების სიძვირე; უკანასკნელი (ფეხზე სადგომი) ბილეთი იყიდებოდა 40 კაპ. საზოგადოება, რაც დაესწრო, ძრიელ ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში.

მეორე დღეს, 25-ს აგვისტოს, მესხიშვილისავე მონაწილეობით გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ითამაშეს: ახლად გარდაცვალებულის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის პიესები: „დედის ქალი გულჯავარ“ და „ბაიყუში“. ხალხი დიდძალი დაესწრო ამ წარმოდგენას; ბილეთები რომ აღარ იშოვებოდა, „კონტრამარკები“ გაჰყიდეს. დამსწრეთა ნახევარი ფეხზე იდგა უადგილობისა გამო. ეს მეორე წარმოდგენაც მშვენივრად ჩაატარეს არტისტებმა. საზოგადოებას ძალიან მოეწონა გულჯავარის როლის შემსრულებელი ქ-ნი მღივნიშვილი. ახალგაზრდობამ მღივნიშვილს მიართვა ვერცხლის „პრიბორი“. ეს მეორე წარმოდგენა დაიწყო საღამოს ხუთ საათზე; სასურველია, უთუოდ ყოველთვის ხუთის ნახევარზე გაიმართოს წარმოდგენა, რადგან მუშა-ხალხი ბლომად ესწრება წარმოდგენას. მუშასთვის კი საჭიროა ადრე წარმოდგენის გათავება, რომ მეორე დღეს ადრე ადგეს.

ლადო გუჯელი

# სასამართლო

სამხედრო საკრებულოს შეურაცხება

გუშინ, 28 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ერევნის რაზმის ჯარის-კაცის იცეკ ზისელოვის ძის ლიაკსისა, რომელსაც სამხედრო საკრებულოსთვის სამსახურის აღსრულების დროს შეურაცხების მიყენება ჰბრალდება.

1901 წლის 19 დეკემბერს სამხედრო საკრებულოს ჯარში გაწვეული ლიაკსი გაუსინჯავს. როდესაც გაუზომიათ და გამოუცხადებიათ მიღებული ხარო, იცეკ ლიაკსის სამხედრო საკრებულოს წევრებისათვის უთქვამს: ეს „მაშენიკობააო.“ ამ სიტყვებისათვის პასუხის გებაში მიუციათ ლიაკსი. ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ლიაკსიმ თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, ამ გვარი სიტყვა არ მითქვამს და პასუხის გებაში სრულიად უსაფუძვლოდ მიმცესო. სასამართლომ რამდენიმე ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი იცეკ ლიაკსი და მიუსაჯა სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. სასამართლომ ამასთანავე გარდასწყვიტა, ეს სასჯელი შეუცვალოს მას დარაჯის ზედამხედველობის ქვეშ დატოვებით მხოლოდ პურსა და წყალზე.

ფულის-მოპარვა

1901 წელს. 20 დეკემბერს, მოვაჭრეს (სასახლის ქუჩაზე) ემილ ლეიტცს თავის ნოქრის გოტლიბ ანდრისისათვის გარდაუცია 500 მანეთიანი დასახურდავებლად. ნოქარს სხვათა თანადასწრებით ეს ფული დასახურდავებლად გარდაუცია მეორე ნოქრის დიმიტრი კარალენკოსათვის. კარალენკო წასულა ბანკში, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ კარალენკო დაუპატიმრებიათ ციმბირის ერთს ქალაქში. თან აღმოაჩნდა მხოლოდ 47 მან. 50 კაპ. კარალენკოს გამომძიებლისთვის უთქვამს, რომ წინად დამეხარჯა მაღაზიის პატრონისა სავაჭროდან შემოსული 100 მან. და რადგანაც კარგი დღე არ დამადგებოდა, ამიტომ, როცა დასახურდავებლად 500 მან. მივიღე, გავიქეციო; ფული მგზავრობის დროს დამეხარჯაო. ოლქის სასამართლომ ეს საქმე განიხილა გუშინ, 28 აგვისტოს და გადაუწყვიტა კარალენკოს 1 კვირით საპყრობილეში დაპატიმრება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო

პეტერბურგი. მანჯურიიდან 15 აგვისტოდან მიღებულის ცნობებიდან სჩანს, რომ ფუჩჟოუსა და გირინში ხოლერა მოისპო; ინკოუში აქა-იქ თუ ხდებიან ავად (ყოველდღე), მუკდენში-კი ავად ხდებიან და იხოცებიან მუდამ დღე 30-მდე. აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინის გზის ლიანდაგის მიყოლებით 15 აგვისტომდე სულ ავად გახდა 4.043 კაცი, ამათგან 2.556 დაიხოცა.

ხარკოვი. არქეოლოგთა მე-XII კრება დასრულდა. დაადგინეს: ვიშუამდგომლოთ, რომ არქივების დაცვას მთავრობა აღმოუჩინონ; მალე გაიხსნას საზოგადოება პოლტავის გუბერნიის შესასწავლად; გამოიცეს კანონი, რომელმაც უნდა აღკრძალოს რუსეთიდან ძველი ნივთებისა და სამკაულების გაზიდვა. მე-XIII საარქეოლოგიო კრებისათვის აირჩიეს ქალაქი ეკატერინოსლავი.

ვარშავა. გუშინ გაიარა სამხლვარ-გარეთისაკენ საბერძნეთის მემკვიდრემ მეუღლითურთ.

კალვარიაში სექტემბრის 10-ს იხსნება იარმუკა, რომელსაც ვარშავის სამეურნეო საზოგადოება ჰმართავს.

ბათუმი. ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ერისთავმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ შემდეგ დროისათვის გადაიდოს გარდასახადი მცხოვრებლების იმ ნაწილისა, რომელიც 20 აგვისტოს ღამით წყალდიდობამ დააზარალა.

პსკოვი. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის თანადასწრებით სპასო-მიროჟსკის მონასტერში აკურთხეს პრეობრაჟენსკის ეკკლესია. ეკკლესია შეაკეთეს სინოდისაგან მიღებულის ფულით.

როსტოვი-დონზე. პოლიციელის მკვლელებს სამხედრო-საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ეს განაჩენი გუშინ აასრულეს კიდეც.

კალუგა. ალექსინის ახლოს საქონლის მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდან. 15 ვაგონი დაიმსხვრა; მოსამსახურეთაგან ერთი მოკვდა და სამი დაიჩეხა.

როსტოვი-დონზე. ციხიდან გამოსულთა დამხმარებელ საზოგადოებამ დროებითი თავშესაფარი გაჰმართა. უფასო სკოლა გახსნეს მოზრდილ ვაჟთათვის.

ჩარჯუი. ბუხარის ემირმა 12 ათასი მანეთი შესწირა ხელმწიფე იმპერატორის ასულის ოლგას სახელობაზედ საქალაქო საავადმყოფოსათვის სახლის ასაგებად.

ლენევენი (საფრანგეთი). სოფელს ფოლგოეტს 30 ათასი კაცი, ეპისკოპოსი და მრავალი მღვდელი გაემგზავრა სალოცავად. წირვის შემდეგ გლეხების რამდენმამე ჯგუფმა დემონსტრაცია მოახდინა და მასწავლებელ-მონაზვნებს სიხარულით მიეგებნენ. ეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა და ქება შეასხა ბრეტონელებს, რომ სკოლების დაკეტვას წინააღმდეგობა აღმოუჩინეთო.

ლონდონი. გაზ. „გლობ“-ის სიტყვით, ცნობა მოსულა შესახებ იმისა, რომ სპარსეთის სრუტეში სამხედრო გემს „ლაპვინგ“-სა და ერთ გემს, რომელზედაც მონები მიჰყავდათ გასასყიდად, დიდი ბრძოლა ჰქონიათ. ერთი ზღვაოსანი მოუკლავთ.

28 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ, 27 აგვისტოს, კურსკში გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვ. კ. პლევე.

19 ოქტომბრიდან (1 ნოემბრიდან) 1902 წ. შემოიღება ფინლანდისა და რუსეთის დანარჩენ ნაწილებს შორის ფულების ფოსტით გადაცემა.

„პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია 24 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებული დროებითი წესები, შესახებ პროფესორთა დისციპლინარულ სამსჯავროსი საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში. ამ წესების ძალით საბჭო ირჩევს მოსამართლეთ ხუთ პროფესორს თითო უნივერსიტეტში, უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში,—სამს ანუ ხუთს; მოსამართლეს დაამტკიცებს ოლქის მზრუნველი. სასამართლოს შეუძლიან გაარჩიოს საქმეები შესახებ: წესის დარღვევისა თვით სასწავლებელში; მოსწავლეთა და მასწავლებელთა და სასწავლებლის მოხელეთა შორის მომხდარი უსიამოვნებისა და ისეთი საქმეებიც, რომლებიც პატიოსნების დამარღვეველი და უზნეო ხასიათისა იქმნებიან. სასამართლო საქმეს გაარჩევს სიტყვიერად; დადგენილება ჩაიწერება წიგნში. საქმე განირჩევა სხვების დაუსწრებლად. დამნაშავე არ ასცდება სამართალს, თუნდა სასწავლებლიდამ გასვლის სურვილიც გამოაცხადოს.

ბერლინი. ბერლინმა დიდის დიდებით დაასაფლავა ვირხოვი. დაესწრნენ მაგისტრატის წევრნი, ქალაქის დეპუტატები, მეცნიერნი და რამდენიმე მინისტრი.

ვაშინგტონი. ყოველ კვირის მეტეოროლოგიურ ბიულეტენში სწერია, რომ ტეხასში და ახლო ადგილებში, სადაც ბამბა სთესია, დიდი წვიმები იყო; სარგებლობა საეჭვოა.

ხარბინი. ხოლერით ავადმყოფობა ისპობა. სულ მოკვდა 272 ევროპიელი და 830 ჩინელი.

რიგა. საქალაქო გიმნაზიაში სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს, ძველი დამწვარი შენობის მახლობლად.

კურსკი. მოვიდა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი.

პეტერბურგის ბირჟა 27 აგვისტოს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,05 |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,40 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 99 მყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $469^1/_2$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $356^1/_2$ „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $293^1/_2$ „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | $87^3/_8$ გაყიდ. |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | $89^1/_4$ „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 178 „ |

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი


განცხადებანი

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—15)

დიდი ვერცხლის მედალი

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენბოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

ჰლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მელიქსეტი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—17)


Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Августа, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).